ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3215748

ნომერი: AR1495099

თარიღი : 12.04.2017

გაცემის თარიღი : 29.05.2017

გაცნობის თარიღი : 21.06.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 15 , (ნაკვ. 8/69) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია სოსიაშვილი პ/ნ 01027012897
- თბილისი ვარკეთილის მას. ზემო პლატო II მ/რ კორ. 16 ბ. 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
"ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს

მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების თანახმად, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით იცვლება არსებული სათავსის დაკავებულობა. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად იგი წარმოადგენს არსებული შენობის რეკონსტრუქციას. შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოები ვერ განიხილება I კლასის კუთხით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის მშენებლობის კუთხით. გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს თქვენი განაცხადი განხილულ იქნას I კლასის მშენებლობისთვის დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად. ცვლილებების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tas.ge.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.